

თსუ პაატა გუბუშვილის
სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის

სამეცნიერო შრომების
კრებულის
XII

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

გ. ბერუღაია, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, თ. გოგოხია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ვლ. პაპაია, მ. ხუსკივაძე, რ. ჯაგანაშვილი

თსუ პაატა გუბუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი 2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

**PROCEEDINGS OF
SCIENTIFIC WORKS
OF PAATA GUGUSHVILI
INSTITUTE OF ECONOMICS
OF TSU
XII**

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

Scientific-Editorial Board

G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, R. Javakhishvili, E. Kakulia, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, V. Papava

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF TSU**

TBILISI 2019

UDC (ჯსკ) 061.62: 33(479.22)(045)

ჯ - 121

The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.

The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.

The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information

© TSU Paata Gugushvili Institute of Economics, 2020

ISSN 1987 - 6904

43. A brief history of moon exploration
<https://www.nationalgeographic.com/science/spac>
44. Mars Exploration. 2019.
<https://www.nationalgeographic.com/science/space/space-exploration/mars-exploration-article/>
45. Resources for the Future
https://en.wikipedia.org/wiki/Resources_for_the_Future
46. Исследования Юпитера
https://ru.wikipedia.org/wiki/Исследование_Юпитера_межпланетными_аппаратами
47. Ресурсы растительного и животного мира.
<https://msd.com.ua/vvedenie-v-specialnost/resursy-rastitelnogo-i-zhivotnogo-mira/>
48. Биологические ресурсы
<http://www.nado5.ru/e-book/biologicheskie-resursy-okhrana-rastitelnogo-i-zhivotnogo-mira>

Ramaz Abesadze

THE NATURAL RESOURCES OF THE FUTURE

Summary

The paper examines the problems of replacing non-renewable resources with inexhaustible and renewable resources, that is, future resources. The issue is dealt with a complex and separate manner. Particular attention is paid to cosmic resources - asteroids, lunar, Mars, Jupiter riserch and the issue of their resources use.

Keywords: *Natural resources, renewables, asteroid resources, lunar resources, mars resources.*

ვლადიმერ პაპაგა

ინოვაციურ საქმიანობაში ადამიანისეული ფაქტორის გააქტიურების ძირითად მიმართულებებს ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემოს შექმნის წინაპირობები და სირთულეები

ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება ევროკავშირის პოსტკომუნიკაციური ქვეყნების ინოვაციურ საქმიანობაში ადამიანისეული ფაქტორის გააქტიურების ძირითად მიმართულებებს. გაანალიზებულია ბიზნესისთვის ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემოს შექმნის წინაპირობები და სირთულეები. გამოვლენილია ამ კუთხით ევროკავშირის პოსტკომუნიკაციური ქვეყნებს შორის ყველაზე წარმატებული და წარუშეშებელი ქვეყნები.

შესავალი

ინოვაციური საქმიანობა ცნობილი ავსტრიელ-ამერიკელი ეკონომისტის, იოზეფ შუმპეტერის თანახმად, – წარმატებული მეწარმე იგივე ინოვატორია (მაგალითად, [1]), რომლის უშუალო ფუნქცია არის “ახალი კომბინაციების” განხორციელება [2, z. 219; 3 p. 139; 4, c. 288], რაც გულისხმობს ახალი პროდუქციის და მომსახურების, ახალი წარმოების მეთოდების შექმნას, გასაღების ახალი ბაზრების და ნედლეულის ახალი წყაროების მოძიებას, წარმოების ახლებურ რეორგანიზებას [2, z. 100-101; 3, p. 66; 4, c. 159].

ამ ფუძემდებლური დებულებებიდან გამომდინარე, ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება სწორედ მხოლოდ ადამიანისეული ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული (მაგალითად, [5; 6]).

არაერთი კვლევა დაგროვდა ევროკავშირში ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის შესახებ (მაგალითად, [7; 8]).

ცალკე პრობლემაა ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი და ხორვატია) ინოვაციურ საქმიანობაში არსებული მდგომარეობა (მაგალითად, [9; 10]) და ადამიანისეული ფაქტორის გააქტიურების შესაძლებლობების გამოვლენა, რაც, შესაძლოა, საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისთვისაც იქნეს გამოყენებული.

წინამდებარე კვლევის მიზანია, ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ინოვაციურ სფეროში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შესწავლილ იქნეს ინოვაციურ საქმიანობაში ადამიანისეული ფაქტორის გააქტიურების ძირითადი მიმართულებები.

ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში შექმნილი ინოვაციური საქმიანობის არსებული სიტუაციის შეფასება

ინოვაციური საქმიანობის დასახსიათებლად გამოიყენება გლობალური ინოვაციების ინდექსი, რომელიც გამიზნულია, ასახოს ინოვაციის მრავალგანზომილებიანი ასპექტები, რათა სწორი ორიენტირები შეიქმნას გრძელვადიანი ეკონომიკური

ზრდის, რესურსების მწარმოებლურობის ამადლებისა და სამუშაო ადგილების ზრდისათვის.

მსოფლიოს 129 ქვეყნის მაგალითზე გლობალური ინოვაციების ინდექსის გათვლის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგები 2019 წლისათვის მოცემულია 1-ლ ცხრილში [11, pp. xxxiv- xxxv].

ცხრილი 1

გლობალური ინოვაციური ინდექსი ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიხედვით 2019 წელს

№	ქვეყნები	გლობალური ინოვაციური ინდექსის დონე და ქვეყნის ადგილი მსოფლიოში	
		ქულათა რაოდენობა (0-დან 100-მდე)	ადგილი მსოფლიოში
	ევროკავშირის არაპოსტკომუნისტური ქვეყნები		
1	ავსტრია	50,94	21
2	ბელგია	50,18	23
3	გაერთიანებული სამეფო	61,30	5
4	გერმანია	58,19	9
5	დანია	58,44	7
6	ესპანეთი	47,85	29
7	ირლანდია	56,10	12
8	იტალია	46,30	30
9	კვიპროსი	48,34	28
10	ლუქსემბურგი	53,47	18
11	მალტა	49,01	27
12	ნიდერლანდები	61,44	4
13	პორტუგალია	44,65	32
14	საბერძნეთი	38,90	41
15	საფრანგეთი	54,25	16
16	ფინეთი	59,83	6
17	შვედეთი	63,65	2
	ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები		
18	ბულგარეთი	40,35	40

19	ესტონეთი	49,97	24
20	ლატვია	43,23	34
21	ლიეტუვა	41,46	38
22	პოლონეთი	41,31	39
23	რუმინეთი	36,76	50
24	სლოვაკეთი	42,05	37
25	სლოვენია	45,25	31
26	უნგრეთი	44,51	33
27	ჩეხეთის რესპუბლიკა	49,43	26
28	ხორვატია	37,82	44
	აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები		
29	აზერბაიჯანი	30,21	84
30	ბელარუსი	32,07	72
31	მოლდოვა	35,52	58
32	საქართველო	36,98	48
33	სომხეთი	33,98	64
34	უკრაინა	37,40	47

მოცემული კვლევის საფუძველზე გლობალური ინოვაციების ინდექსის დონის მიხედვით მსოფლიო პირველ სამ ადგილზე არიან შვეიცარია, შვედეთი და აშშ [11, p. xxxiv].

საყურადღებოა, რომ 1-ლი ცხრილის მონაცემებით ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის გლობალური ინოვაციების ინდექსის დონის მიხედვით აშკარად გამოკვეთილი ლიდერები ესტონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკაა, რომელთაც მსოფლიოში შესაბამისად 24-ე და 26-ე ადგილები უკავიათ. ეს ქვეყნები უსწრებენ ევროკავშირის არაპოსტკომუნისტური ქვეყნებიდან ისეთებს, როგორებიცაა ესპანეთი, იტალია, კვიპროსი, მალტა, პორტუგალია და საბერძნეთი.

1-ლი ცხრილი თანახმად, გლობალური ინოვაციების ინდექსის დონის მიხედვით საკმაოდ კარგად გამოიყურება ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ბულგარეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და უნგრეთი, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით წარმატებული ქვეყნების მეოთხე ათეულში შედიან და ევროკავშირის არაპოსტკომუნისტური ქვეყნებიდან საბერძნეთს უსწრებენ.

გლობალური ინოვაციების ინდექსის დონის მიხედვით ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე არასახარბიელო სიტუაცია არის ხორვატიასა და, განსაკუთრებით, რუმინეთში, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით, შესაბამისად, 44-ე და 50-ე ადგილებს იკავებენ.

შედარებისთვის 1-ლ ცხრილში ასევე მოცემულია 2019 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) გლობალური ინოვაციების ინდექსები. ამ ქვეყნებს შორის ყველაზე წარმატებულია უკრაინა და საქართველო, რომელთაც, შესაბამისად, 47-ე და 48-ე ადგილები⁴ უკავიათ და უსწრებენ 50-ე ადგილზე მყოფ ევროკავშირის მხოლოდ ერთ პოსტკომუნისტურ ქვეყნას – რუმინეთს. აღმოსავლეთ პარტნიორობის დანარჩენი ქვეყნებიდან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მოლდოვაში, რომელსაც მსოფლიოს 129 ქვეყანას შორის 58-ე ადგილი უკავია. ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაა სომხეთში, ბელარუსსა და აზერბაიჯანში, რომლებიც მსოფლიოს 129 ქვეყანას შორის, შესაბამისად, 64-ე, 72-ე და 84-ე ადგილებს იკავებენ.

ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში შექმნილი ინოვაციური საქმიანობის არსებული სიტუაციის დასახასიათებლად ასევე აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ ჯერჯერობით ვერ მოახერხეს საკუთარი ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნა, ხოლო მბრძანებლური ეკონომიკიდან მემკვიდრეობით მიღებული ინოვაციური პოტენციალი კი უშუალოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ტრანსნაციონალური კორპორაციებმა აითვისეს [12, c. 66].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კომბინატორული წანამატის პროცესმა [13; 14; 15] ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განსაკუთრებული სპეციფიკით იჩინა თავი. კერძოდ, ახალი ტექნოლოგიები უმთავრესად დასავლეთევროპულ ქვეყნებში კონცენტრირდა, ხოლო ძველმა ტექნოლოგიებმა კი ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მოიყარა თავი [16; 17].

საბოლოოდ, ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები სულ უფრო დამოკიდებულნი ხდებიან დასავლეთევროპული ქვეყნებიდან ნედლეულისა და, განსაკუთრებით, დანადგარების

⁴ ცნობისათვის, რუსეთი მცირედით უსწრებს უკრაინას და ის მსოფლიოს 129 ქვეყანიდან 46-ე ადგილზეა [11, p. xxxiv].

შემოტანაზე. შედეგად, ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკა ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ გამოიყენება რეტროეკონომიკის [18; 19] შესანარჩუნებლად. რაც შეეხება კომბინატორული წანამატის პროცესს, როგორც ზემოთ აღინიშნა, უმთავრესად საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენება.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები მაღალტექნოლოგიური წარმოების კუთხითაც არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან [20; 21], რადგანაც ეს წარმოება ძირითადად ევროკავშირის არაპოსტკომუნისტურ ქვეყნებშია თავმოყრილი. კერძოდ, არაპოსტკომუნისტურ ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური წარმოების ხვედრი წილი მთლიანად ევროკავშირის მიხედვით 2015 წელს არანაკლებ 91,02 პროცენტი იყო [22].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების ხელშეწყობას. ეს კი უშუალოდ ადამიანისეულ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ეკონომიკაში ადამიანის როლი და “ინოვაციური ადამიანის” თეორიული მოდელი

იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი მამოძრავებელი ძალა ადამიანია, ამიტომ ადამიანის მოდელი ზოგადად სოციალურ და, კერძოდ, ეკონომიკურ მეცნიერებათა საფუძვლებისათვის ამოსავალია [23, c. 24]. შედეგად, სოციალურ მეცნიერებებში თითოეული მათგანი ოპერირებს ადამიანის “საკუთარი” მოდელით, რის გამოც განარჩევენ “სოციოლოგიურ”, “ფსიქოლოგიურ”, “პოლიტოლოგიურ” და სხვ. ადამიანს [6, c. 9]. აქედან გამომდინარე, ყოველ საზოგადოებრივ მეცნიერებას თავისი *homo logicus*-ი “ჰყავს” [24, s. 111].

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში ადამიანის მოდელის ერთიანი გააზრება არ არსებობს [6, c. 9], ყველაზე უფრო გავრცელებულად ადამ სმითისეული *homo economicus*-ის (ეკონომიკური ადამიანი) მოდელი რჩება. ეს კი ისეთი ადამიანია, რომლის მამოძრავებელი მოტივი მაქსიმალური მოგების მიღებაა. ლოგიკურია, რომ, თავის

მხრივ, *homo economicus*-ი ეკონომიკური საზოგადოების საფუძველს ქმნის [25].

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური მეცნიერების განვითარების კვალობაზე *homo economicus*-ის მოცემულმა სმითისეულმა შინაარსმა მნიშვნელოვანი ისტორიული სახეცვლილება განიცადა [5; 6, c. 57-201; 26]. კერძოდ, დღის წესრიგში დადგა *homo economicus*-ის შინაარსის დაზუსტების საკითხი [27]. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, *homo economicus*-ი, როგორც ასეთი, არც კი არსებობს [28].

მართალია, *homo economicus*-ი ადამიანის თეორიული, აბსტრაქტული მოდელია [29, p. 81; 30, c. 7], თუმცა მისი თანამედროვე გაგების თანახმად, ის ბევრად უფრო მრავალფეროვანი მიზნების მატარებელია, რადგანაც ეკონომიკური მისწრაფებები სოციალური მიზნებითაცაა “გამდიდრებული” [31, 1998, c. 73].

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, როგორც ცნობილია, ერთი ეკონომიკური სისტემა იცვლება მეორით, რაც აისახება საზოგადოებაში გაბატონებულ ეკონომიკურ აზროვნებაზე, რისი ცვლილებაც აუცილებელია ეკონომიკაში წარმატებული საბაზრო რეფორმების გასატარებლად [32]. საყურადღებოა, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეს ცვლილება მეტ-ნაკლებად წარმატებით განხორციელდა, რისი დასტურიც ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებაა.

როგორც ცნობილია, მბრძანებლური ეკონომიკის საბჭოური გამოცდილების თანახმად, მბრძანებლურ ეკონომიკაში *homo soveticus*-ის, ანუ სახელმწიფოს მიერ დათრგუნული და მთლიანად მასზე დამოკიდებული ადამიანის ტიპი ჩამოყალიბდა. სწორედ *homo soveticus*-სს მოუწია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაწყება [33, cc. 250-253]. ამ პროცესის კვალობაზე კი თავად *homo soveticus*-მაც განიცადა ტრანსფორმაცია. შედეგად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა იმედროულად *homo soveticus*-ის *homo economicus*-ად ტრანსფორმაციის პროცესია [34, გვ. 108-116; 35; 36, cc. 61-62; 37, cc. 260-280].

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში ადამიანის ისეთი ტიპი გამოიკვეთა, რომელსაც ჯერ კიდევ (თუნდაც ქვეცნობიერად) აქვს სახელმწიფოს შიში, ელის მისგან დახმარებას, თუმცა, იმედროულად, თანდათანობით ეჩვენება თავისუფლებას, საზოგადოების დემოკრატიზაციას. ასეთი ადამიანი

კვალიფიცირებულია, როგორც *homo transformativus*-ი [35; 36, ც. 61-62] და ის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უშუალო შემოქმედია [38].

იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ამ კავშირში გაწვევრიანებამდე გატარებული ეკონომიკური რეფორმები, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეტ-ნაკლები წარმატებით განხორციელდა (რის შედეგადაც ეს ქვეყნები გახდნენ ევროკავშირის წევრები), შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ არსებული *homo transformativus*-ი უფრო ახლოსაა *homo economicus*-თან ვიდრე *homo soveticus*-თან.

თანამედროვე ეპოქაში ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებასთან ერთად, სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა “ინოვაციური ადამიანის” ახალი მოდელი. საყურადღებოა, რომ ეს ტერმინი ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება ორი ვარიანტით: *homo innovatus*-ი [39, 40] და *homo innovaticus*-ი [41; 42; 43]. ისინი ორივენი გამოიყენება როგორც სინონიმები.

homo innovaticus-ი არის ადამიანის კრებსითი აბსტრაქტული მოდელი და მისი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშნებია (მაგალითად, [43, c. 58]:

- იყოს ახალი იდეების გენერირებისა და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფი;
- სწავლისათვის მუდმივად იყოს მოწოდებული;
- იყოს მობილური, არა მარტო გეოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ, რაც უფრო მთავარია – მენტალურადაც;
- იყოს გახსნილი და რისკიანი;
- ჰქონდეს როგორც ვიწრო სპეციალური მომზადება, ისე – ფართო სპექტრის ზოგადი ცოდნა;
- უთავსებდეს კვლევით და საპროექტო უნარებს;
- შეეძლოს სტრატეგიული აზროვნება და ტაქტიკური მოქმედება;
- შეეძლოს ნდობა და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- შეეძლოს კოოპერაციული ხასიათის თანამშრომლობა.

ამჟამად, ყველა ეს თვისება ერთ კონკრეტულ ადამიანს რომ ჰქონდეს – პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ თვისებების ერთობლიობის მატარებელი, როგორც წესი, ერთად აღებული ათასობით ადამიანია. კერძოდ, ესენია, მენეჯერები, მკვლევარები, გამოგონებლები, ანალიტიკოსები და სხვ. [43, c. 58].

homo innovaticus-ი თავისი ბუნებით მომავალზეა ორიენტირებული. მომავალი კი ხატოვნად რომ ითქვას ის “ტერიტორიაა, რომელიც ექვემდებარება დაპყრობას და კოლონიზაციას” [44, p. 22]. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ განუზომლად იზრდება თანამედროვე საზოგადოებაში *homo innovaticus*-ის როლი. შესაბამისად, სულაც არ არის შემთხვევითი, როცა საკითხი დგება ასეთ კონტექსტში: იმისთვის რომ უფრო უკეთესად განხორციელდეს ინოვაციური საქმიანობა, აუცილებელია ხელი შეეწყოს *homo sapiens*-ის *homo innovaticus*-ად ტრანსფორმირებას [40].

ეკონომიკური ოპტიმიზმისათვის საჭირო გარემო და მისი მიღწევის აუცილებელი პირობები

მომავლის “დაპყრობა და კოლონიზაცია” კი პრაქტიკულად შეუძლებელია თუ საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმი არ არის გაბატონებული [45].

ცნობილია, რომ, ოპტიმიზტი ესწრაფვის მაღალი რისკისადმი შემუშავებული დამოკიდებულების პირობებში მაქსიმალური სარგებლის მიღებას, პესიმიზტი კი ცდილობს რისკის მინიმიზაციას გარკვეული, მისაღები და იმავდროულად გარანტირებული სარგებლის მიღების პირობებში [46].

თეორიული გამოკვლევებით და, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე დადგენილია, რომ საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის განწყობის შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებში, რომელთაც ახასიათებთ პოლიტიკური, სამართლებრივი ან/და მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რის შედეგადაც ამ ქვეყნებში მოქმედი ფირმები უპირატესობას არა გრძელვადიანი, სტრატეგიული ხასიათის, არამედ მეტწილად მოკლევადიანი, ტაქტიკური ამოცანების გადაჭრას ანიჭებენ უპირატესობას [47, cc. 56-57]. ამგვარ ვითარებაში იქმნება ე.წ. “ტექნოლოგიური მახე”, როცა, ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლის რეალური შესაძლებლობის მიუხედავად, ფირმა უპირატესობას ანიჭებს არსებულს, თუნდაც მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც განპირობებულია ზემოხსენებული არასტაბილურობის გამო, როცა მომავლთან დაკავშირებული რისკები შესაძლოა იყოს მაღალი [48].

სხვა სიტყვებით, ფირმები უპირატესობას ანიჭებენ რეტროეკონომიკის ტექნოლოგიურ მახეში დარჩენას, ვიდრე შედა-

რებით მაღალი რისკის შემცველ ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლისათვის ფირმამ უნდა განიხილოს საკუთარი მომავალი იმ შედარებით ხანგრძლივადიან პერსპექტივაში (ე.წ. “დაგეგმვის ჰორიზონტი”), რაც ახალ ტექნოლოგიებზე განხორციელებული ინვესტიციების სრული გამოსყიდვისთვისაა საჭირო [45].

ზემოხსენებული პოლიტიკური, სამართლებრივი ან/და მაკროეკონომიკური არასტაბილურობის დაძლევის გარდა, იმისათვის, რომ საზოგადოებაში ამდღევს ეკონომიკური ოპტიმიზმი, აუცილებელია მიღწეულ იქნეს მთლიანად ეკონომიკის მაღალი ტემპებით ზრდა, რადგანაც ეს, თავის მხრივ, განაპირობებს ბაზარზე ისეთი ემოციური გარემოს შექმნას, როცა ამ ბაზრის ყოველი სუბიექტი თავადაც დაინტერესდება ასევე კქონდეს ზრდის მაღალი ტემპი. ამ ვითარებაში ტექნოლოგიური მახის დასაძლევად დიდი მნიშვნელობა აქვს „ტექნოლოგიური ნახტომის“ გაკეთებას, რათა ფირმებმა შეძლონ თვისებრივად ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა. ამისთვის კი აუცილებელია საკრედიტო რესურსზე ინოვაციური საქმიანობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც უმთავრესად მიიღწევა საბანკო პროცენტის დონის შემცირებით. კერძოდ, სახელმწიფომ, თავის მხრივ, ინოვაციური დაკრედიტების საბანკო პროცენტის გადახდის თანადაფინანსება უნდა განახორციელოს [47, c. 57]. ამასთანავე, აუცილებელია, ინოვაციური ხასიათის ფირმებს მიეცეთ საგადასახადო შეღავათები, რაც მათ მისცემს დამატებით ფინანსურ რესურსებს თავიანთი საქმიანობის გასააქტიურებლად.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების ძირითადი გზების განსაზღვრა, აუცილებელია იმის გაანალიზება თუ რამდენადაა ჩამოყალიბებული ამ ქვეყნებში ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემო, რაც *homo innovaticus*-ისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ოპტიმიზმის მიღწევის ძირითადი მიმართულებები

თავიდანვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ევროკავშირის თერთმეტივე პოსტკომუნისტური ქვეყანა იმავედროულად ნატოს წევრი-ქვეყანაცაა, რაც განაპირობებს სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მეტ უსაფრთხოებას. ამ კუთხით ეჭვგარეშეა, რომ ამ თერთმეტივე ქვეყანაში, ერთი მხრივ, ევროკავშირის, ხოლო, მეორე მხრივ კი, ნატოს წევრობა ქმნის

პოლიტიკური სტაბილურობის ობიექტურ საფუძვლებს. ეს იმავე დროულად ხელს უწყობს სამართლებრივი სტაბილურობის შედარებით მაღალ დონეს, რადგანაც როგორც ევროკავშირის, ისე ნატოს წევრობა ქმნის სტაბილურ სამართლებრივ ჩარჩოს. მიუხედავად ამისა, ეს ჩარჩო სულაც არ არის იმის ასპროცენტური გარანტი, რომ ევროკავშირის რომელიმე წევრი-ქვეყანა არ გასცდეს მას და არ გადაუხვიოს ევროკავშირის მიერ აღიარებულ ფასეულობებს, რის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს პოსტკომუნისტური ქვეყნები – პოლონეთი (მაგალითად, [49; 50]) და უნგრეთი (მაგალითად, [51; 52]).

რაც შეეხება მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, მისი დარღვევის ორი ძირითადი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. კერძოდ, მაკროეკონომიკური არასტაბილურობის გამომწვევი შეიძლება იყოს:

1. მცდარი ეკონომიკური ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგმება ევროკავშირის ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის მიერ;

2. კრიზისული ვითარება ევროკავშირში, როგორც ასეთში, და, უწინარეს ყოვლისა, ევროზონაში.

პირველი მიზეზის მაგალითს კვლავ უნგრეთი წარმოადგენს. კერძოდ, ევროკავშირის ამ პოსტკომუნისტურ ქვეყანასა და ევროკავშირს შორის ჩამოყალიბდა გარკვეული დაპირისპირება 2021-2027 წლების საბიუჯეტო პოლიტიკასთან მიმართებაში (მაგალითად, [53]). ეს უნგრეთში მოქმედი ფირმებისთვის ქმნის მაკროეკონომიკურად არასტაბილურ გარემოს..

მეორე მიზეზი თავისი მრავალფეროვნებით ბევრად უფრო რთულია.

ევროზონაში 2009 წელს დაწყებულმა სავალდო კრიზისმა (მაგალითად, [54; 55; 56]) უშუალო უარყოფითი ზეგავლენა იქონია ევროზონის ქვეყნების მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე (მაგალითად, [57]). გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის თერთმეტი პოსტკომუნისტური ქვეყნიდან ევროზონაში შედის მხოლოდ ხუთი – ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, სლოვაკეთი და სლოვენია. ექვსი ქვეყანა (ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და ხორვატია) კი ჯერ-ჯერობით ევროზონის წევრი-სახელმწიფოები არ არიან.

საყურადღებოა, რომ ევროზონაში განვითარებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე ევროკავშირი მოიცვა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან სავარაუდო გასვლის პროცესით, ანუ ბრექსიტით (მაგალითად, [58]) განპირობებულმა ევროსტენციად ღურმა კრიზისმა, არაბული ქვეყნებიდან მიგრანტების მოზღვა-

ვებით გამოწვეულმა კრიზისმა და სხვ., რამაც, საბოლოო ჯამში, მთლიანად ევროპაში გამოიწვია კომპლექსური კრიზისული ვითარება (მაგალითად, [59]). ეს კი ევროკავშირში მოქმედი ფირმებისთვის ქმნის პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური არასტაბილურობის გარემოს.

რა თქმა უნდა, ევროკავშირში პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა უშუალოდ და დამოკიდებული თავად ევროკავშირის მმართველი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და იმასთან, თუ რამდენად იქნება ამ გადაწყვეტილებებთან კოორდინაციაში ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ხელმძღვანელების მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები.

საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემოს შექმნისათვის, როგორც ამას ზემოთ გაცხევა ხაზი, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების არსებობას. მე-2 ცხრილში მოცემულია ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის წინ და მისი დასრულებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ. ამით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხსენებული კრიზისის არასახარბიელო შეგავლენის შესაძლებლობა.

ცხრილი 2

ევროკავშირის პოსტკომუნისტურ და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის კორექტირებული და ფაქტობრივი მაჩვენებლები 2006 და 2016 წლებში

№	ქვეყნები		წლები	
			2006	2016
	ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები			
1	ბულგარეთი	კორექტირებული	2,597773	1,909853
		ფაქტობრივი	6,8	3,9
2	ესტონეთი	კორექტირებული	6,663904	1,561366
		ფაქტობრივი	10,3	2,1
3	ლატვია	კორექტირებული	6,297633	1,366986
		ფაქტობრივი	11,9	2,1
4	ლიეტუვა	კორექტირებული	4,09815	1,730049
		ფაქტობრივი	7,4	2,3
5	პოლონეთი	კორექტირებული	3,153989	2,032618

		ფაქტობრივი	6,2	2,9
6	რუმინეთი	კორექტირებული	3,180456	2,728071
		ფაქტობრივი	8,1	4,6
7	სლოვაკეთი	კორექტირებული	5,387006	2,543542
		ფაქტობრივი	8,5	3,3
8	სლოვენია	კორექტირებული	4,933489	2,600663
		ფაქტობრივი	5,7	3,1
9	უნგრეთი	კორექტირებული	2,397438	1,490855
		ფაქტობრივი	3,9	2,2
10	ჩეხეთის რესპუბლიკა	კორექტირებული	5,511595	2,293351
		ფაქტობრივი	6,9	2,6
11	ხორვატია	კორექტირებული	2,729285	1,787114
		ფაქტობრივი	4,8	3
აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები				
12	აზერბაიჯანი	კორექტირებული	11,38706	-1,34481
		ფაქტობრივი	34,5	-3,1
13	ბელარუსი	კორექტირებული	3,824182	-1,18067
		ფაქტობრივი	10	-2,6
14	მოლდოვა	კორექტირებული	0,514133	0,549841
		ფაქტობრივი	4,8	4,1
15	საქართველო	კორექტირებული	1,573437	0,70453
		ფაქტობრივი	9,4	2,8
13	სომხეთი	კორექტირებული	2,485313	0,044429
		ფაქტობრივი	13,2	0,2
14	უკრაინა	კორექტირებული	1,760887	0,47756
		ფაქტობრივი	7,3	2,3
	ევროკავშირი		3,3	1,9

ცხრილში მოცემული ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები გათვლილია მსოფლიო ბანკის [60], ხოლო კორექტირებული მაჩვენებლები კი – ჩვენ მიერ [17, p. 118].

ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლები ფაქტობრივიდან გამორიცხავს ე.წ. “მკვეთი ზრდის ეფექტს” [61, გვ. 532-531; 62, pp. 546-547; 63, cc. 523-524]. ამ ეფექტის გამორიცხვის მეთოდის თანახმად [64; 65; 66], აუცილებელია შეირჩეს ეკონომიკური ზრდის ე.წ. “ეტალონური” მაჩვენებელი. მე-2 ცხრილში მოცემულ გათვლებში თითოეული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლის გაანგარიშები-

სათვის ამ “ეტალონურ” მაჩვენებლად აღებულია თავად ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებელი. სწორედ მასთან მიმართებაში შეიძლება შეფასდეს, თუ რამდენადაა ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური ოპტიმიზმის ჩამოყალიბებისთვის ხელშემწყობი ევროკავშირის ამა თუ იმ წევრ-ქვეყანაში.

მე-2 ცხრილის თანახმად, ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლების მიხედვით 2006 წელს თავად ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს აღემატებოდა ეკონომიკური ზრდის დონე ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვაში, სლოვაკეთში, სლოვენიაში და ჩეხეთის რესპუბლიკაში. ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის დონეს ჩამორჩებოდა ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი და ხორვატია. მათგან კი ყველაზე უარეს მდგომარეობაში იყო უნგრეთი.

2016 წელს კი ევროკავშირის პოსტკომუნისტურ სახელმწიფოთა შორის ევროკავშირთან შედარებით უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა პოლონეთში, რუმინეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში და ჩეხეთის რესპუბლიკაში, ხოლო ბულგარეთის ეკონომიკური ზრდის კორექტირებულმა მაჩვენებელმა სულ მცირედით გაასწრო ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის დონეს. არასახარბიელო ვითარება კი დაფიქსირდა ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვაში, უნგრეთსა და ხორვატიაში.

თუკი 2006 და 2016 წლების ეკონომიკური ზრდის კორექტირებულ მაჩვენებლებს ერთობლიობაში განვიხილავთ, შეიძლება გამოვყოთ ევროკავშირის ის პოსტკომუნისტური ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკური ზრდის სტაბილურობით ჯობს ევროკავშირის ანალოგიურ მაჩვენებლებს. კერძოდ, ეს ქვეყნებია სლოვაკეთი, სლოვენია და ჩეხეთის რესპუბლიკა. სხვა სიტყვებით, ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან სწორედ ამ სამ ქვეყანაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეკონომიკური ზრდა საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის ჩამოყალიბების ხელშემწყობია. ყველაზე ცუდი ვითარება კი არის უნგრეთსა და რუმინეთში, რადგანაც ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა საზოგადოებაში ეკონომიკური პესიმიზმის განმტკიცებაზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე – ეკონომიკური ოპტიმიზმის ჩამოყალიბებისათვისაა ხელშემწყობი. ევროკავშირის დანარჩენ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კი არასტაბილური სიტუაციაა, თუმცა ის მაინც იმედის მომცემია, რომ ამ ქვეყნებში შესაძლებელია

არსებული ვითარების შეცვლა, რადგანაც უკვე ჰქონდათ ევროკავშირთან შედარებით უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა. ეს კი ეროვნული მთავრობების მიზანმიმართულ მოქმედებაზე დიდადაა დამოკიდებული.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, სამწუხაროდ, ბევრად უფრო რთული ვითარებაა შექმნილი. მე-2 ცხრილის თანახმად, 2006 წელს ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის დონეს კორექტირებული მაჩვენებლის მიხედვით გადააჭარბა აზერბაიჯანმა და ბელარუსმა, თუმცა 2016 წელს ამ ქვეყნებში უკვე ეკონომიკური ვარდნა დაფიქსირდა⁵. მართალია, აღმოსავლეთ პარტნიორობის დანარჩენ ქვეყნებში ორივე 2006 და 2016 წლებში დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდა და არა ვარდნა, თუმცა ამ ზრდის კორექტირებული მაჩვენებლები ჩამორჩებოდა ევროკავშირის ეკონომიკურ ზრდას, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური ზრდის დონე არ იძლევა საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემოს ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

დასკვნა

გლობალური ინოვაციების ინდექსის საფუძველზე შეიძლება ინოვაციური საქმიანობა შეფასდეს რაოდენობრივად.

2019 წლის გლობალური ინოვაციების ინდექსის მიხედვით ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან მოწინავენი არიან ესტონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა, რომელთაც მსოფლიოს 129 ქვეყანას შორის 24-ე და 26-ე ადგილები უკავიათ და უსწრებენ ევროკავშირის არაპოსტკომუნისტური ქვეყნებიდან ისეთებს, როგორებიცაა ესპანეთი, იტალია, კვიპროსი, მალტა, პორტუგალია და საბერძნეთი.

იმავე წელს მოცემული ინდექსის მიხედვით ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის ბოლო ადგილებზეა ხორვატია და რუმინეთი, რომლებიც მსოფლიოს 129 ქვეყანას შორის იკავებენ შესაბამისად, 44-ე და 50-ე ადგილებს.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში უმთავრესად ძველი ტექნოლოგიები

⁵ ცნობისათვის, აზერბაიჯანისა და ბელარუსის მსგავსი სიტუაცია დაფიქსირდა რუსეთშიც. კერძოდ, 2006 წელს ამ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის კორექტირებულმა მაჩვენებელმა მცირედით გაუსწრო ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის დონეს, თუმცა 2016 წელს რუსეთშიც ეკონომიკური ვარდნა იქნა დაფიქსირებული [17, p. 118].

თავმოყრილი, მაშინ როცა ახალი ტექნოლოგიების ძირითადი “ლოკაცია” ევროკავშირის დასავლეთევროპულ ქვეყნებშია. შესაბამისად, ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას.

ინოვაციური საქმიანობის აქტორი იგივე “ინოვაციური ადამიანია” (*homo innovatus-ი, homo innovaticus-ი*). ის ადამიანის აბსტრაქტული მოდელია, რომლისთვისაც დამახასიათებელი უნდა იყოს ახალი იდეების გენერირება, სტრატეგიული აზროვნება, გახსნილობა და რისკიანობა და სხვ.

რადგან *homo innovaticus-ი* თავისი ბუნებით მომავალზეა ორიენტირებული, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენადაა საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემო.

საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის ჩამოყალიბებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ, სამართლებრივ ან/და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. არასტაბილურ ვითარებაში ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლის რეალური შესაძლებლობა რომც არსებობდეს, ფირმას ურჩევნია ისევ და ისევ არსებული, მოძველებული ტექნოლოგიები გამოიყენოს, რადგან არასტაბილურ ვითარებაში მომავლთან დაკავშირებული რისკები იზრდება.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის თერთმეტივე პოსტკომუნისტური ქვეყანა იმავდროულად ნატოს წევრია, ეს განაპირობებს სამხედრო-პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით მეტ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. თუმცა ეს არ არის იმის უტყუარი გარანტია, რომ ევროკავშირის რომელიმე წევრ-ქვეყანაში მისივე მხრიდან დაშვებული შეცდომების გამო შეიქმნას პოლიტიკური და სამართლებრივი არასტაბილურობა, რის მაგალითსაც იძლევა პოლონეთი და უნგრეთი.

მაკროეკონომიკური სტაბილურობის დარღვევის მაგალითს წარმოადგენს უნგრეთი, რომელიც დაუპირისპირდა ევროკავშირს 2021-2027 წლების საბიუჯეტო პოლიტიკის გამო.

მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას განაპირობებს ევროზონაში 2009 წლიდან დაწყებული სავალო კრიზისი. ევროკავშირის ეკონომიკური პრობლემას ამწვავებს დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცესი (ბრექსიტი), არაბული ქვეყნებიდან მიგრანტების მოზღვაუება და სხვ. შედეგად, ევროკავშირში მოქმედ ფირმებს საქმიანობა პოლიტიკურ, სა-

მართლებრივ და მაკროეკონომიკურ არასტაბილურ გარემოში უხდებათ.

ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მანქანებლებიდან “მკვეთრი ზრდის ეფექტის” გამოცხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ ქვეყნებს შორის მხოლოდ სლოვაკეთს, სლოვენიასა და ჩეხეთის რესპუბლიკას აქვს სტაბილურად უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა, ვიდრე თავად ევროკავშირს. შესაბამისად, სწორედ ეს სამი პოსტკომუნისტური ქვეყანა ეკონომიკური ზრდის დონითა და სტაბილურობით ქმნის საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმისათვის შესატყვის გარემოს, რასაც *homo innovaticus*-ისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ყველაზე ცუდი ვითარებაშია უნგრეთი და რუმინეთი, რომელთა ეკონომიკური ზრდის დონე ეკონომიკური პესიმიზმის ჩამოყალიბებაზე უფროა ორიენტირებული. შექმნილი ვითარების გამოსწორება კი შესაბამისი ქვეყნების მთავრობათა ევროკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებთან კოორდინირებული მოქმედების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Фурсов К. «Мы сами незаметно создаем инновации». *Лента.Ру*, 2015, 16 августа, <<https://lenta.ru/articles/2015/08/16/innovation1/>>.
2. Schumpeter J. *Theorie der wirtschaftlichen Entwicklung: Eine Untersuchung über Unternehmergewinn, Kapital, Kredit, Zins und den Konjunkturzyklus*. Berlin, Duncker und Humboldt, 1987.
3. Schumpeter J. A. *The Theory of Economic Development (An Inquiry into Profits, Capital, Credit, Interest, and the Business Cycle)*. New Brunswick, Transaction Publishers, 2012.
4. Шумпетер Й. *Теория экономического развития (Исследование предпринимательской прибыли, капитала, процента и цикла конъюнктуры)*. Москва, Прогресс, 1982.
5. Автономов В. С. Поиск новых решений (модель человека в Западной экономической теории 1900-1920-х годов). В кн.: *Истоки (Вопросы истории народного хозяйства и экономической мысли)*. Вып. 2. Москва, Экономика, 1990.
6. Автономов В. С. *Модель человека в экономической науке*. Санкт-Петербург, Экономическая школа, 1998.

7. Diebolt C., Hippe R. “The Long-Run Impact of Human Capital on Innovation and Economic Development in the Regions Of Europe.” *Applied Economics*, 2019, Vol. 51, No. 5, <<https://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/00036846.2018.1495820?needAccess=true>>.

8. Pece A. M., Oros Simona O. E., Salisteanu F. “Innovation and Economic Growth: An Empirical Analysis for CEE Countries.” *Procedia Economics and Finance*, 2015, Vol. 26, <<https://reader.elsevier.com/reader/sd/pii/S2212567115008746?token=E17250443AC5822718AFE52B149A7F4BF1ED0632CEC1009EF722F301264379753F9450355A06E0580F816A3F47D00DDE>>.

9. აბესაძე რ. “ევროკავშირის ინოვაციური სისტემა”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული X*. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017, <http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2017_-_tiraji_100.pdf>.

10. კურატაშვილი ა. “ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლები”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული X*. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017, <http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2017_-_tiraji_100.pdf>.

11. Dutta S., Lanvin B., Wunsch-Vincent S., eds. *Global Innovation Index 2019: Creating Healthy Lives – The Future of Medical Innovation*. 12th Edition. Geneva and New Delhi, World Intellectual Property Organization and Confederation of Indian Industry, 2019, <<https://www.globalinnovationindex.org/gii-2019-report>>.

12. Власкин Г. А., Ленчук Е. Б. «Инновационное измерение промышленной политики стран Центральной и Восточной Европы». *Инновации*, 2005, № 3 (80).

13. Татаркин А. И., Сухарев О. С., Стрижакова Е. Н. «Шумпетерианская экономическая теория промышленной политики: влияние технологической структуры». *Журнал экономической теории*, 2017, № 2, <<http://www.uiec.ru/content/zhurnal2017/JET/02i2017i01iSuharev.pdf>>.

14. Сухарев О. С. «Новые комбинации в экономике и принцип комбинаторного наращения». *Экономический анализ: теория и практика*, 2013, № 25 (328), <<https://cyberleninka.ru/article/n/novye-kombinatsii-v-ekonomike-i-printsip-kombinatornogo-narascheniya>>.

15. Сухарев О. С. «Технологическое развитие и модель эффекта «комбинаторного наращивания» (инновационный тип экономического роста и поведение агентов)». В *Шумпетеровские чтения. Schumpeterian Readings. Материалы 4-й Международной научно-практической конференции The Fourth International Scientific Research Conference Proceedings*. Пермь: Издательство Пермского национального исследовательского политехнического университета, 2014, <<http://www.sr.pstu.ru/files/SchumpeterianReadings2014.pdf>>.

16. პაპავა ვ. “ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევაში ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ინოვაციური სისტემების გამოცდილება”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული X. ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს*. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2017, <http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2017_-_tiraji_100.pdf>.

17. Papava V. “Catching Up and Catch-Up Effect: Economic Growth in Post-Communist Europe (Lessons from the European Union and the Eastern Partnership States)”. *European Journal of Economic Studies*, 2018, Vol. 7, No. 2, <http://ejournal2.com/journals_n/1537557942.pdf>.

18. Papava V. “Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy.” *Journal of Reviews on Global Economics*, 2017, Vol. 6, <<https://www.lifescienceglobal.com/independent-journals/journal-of-reviewson-global-economics/volume-6/85-abstract/jrge/2929-abstractretroeconomics-%20moving-from-dying-to-brisk-economy>>.

19. Папава В. «О ретроэкономике». *Вопросы экономики*, 2017, № 10.

20. პაპავა ვ. “მაღალი ტექნოლოგიები ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული XI*. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2019, <<http://conferenceconomics.tsu.ge/doc/2018%20Sr.pdf>>.

21. Papava V., 2019. On the Prospects for the Use of High Technologies in the European Union’s Post-Communist Countries. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 13, No. 2.

22. Eurostat, “High-Tech Manufacturing Statistics, by Country, 2015.” Eurostat, *Statistics Explained*, 2018,

- <https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=File:High-tech_manufacturing_statistics,_by_country,_2015.png&oldid=377421>.
23. Генкин Б. М., 2002. *Введение в метаэкономику и основания экономических наук*. Москва, Издательство НОРМА.
24. Blum R. Die Zukunft des Homo Oeconomicus. In: *Das Menschenebild der ökonomischen Theorie*. Hrsg. von B. Biervert, M. Held. Frankfurt a.M., 1991.
25. Heilbroner R., Milberg W. *The Making of Economic Society*. London, Prentice-Hall International, Inc., 1998.
26. Бункина М. К., Семенов А. М. *Экономический человек: В помощь изучающим экономику, психологию, менеджмент*. Москва, Дело, 2000.
27. Hausmann R. “The Moral Identity of Homo Economicus.” *Project Syndicate*, 2017, November 7, <https://www.project-syndicate.org/commentary/homo-economicus-moral-psychology-revolution-by-ricardo-hausmann-2017-11?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=04cd732a71-sun-day_newsletter_12_11_2017&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-04cd732a71-93567601&barrier=accesspaylog>.
28. Brockway G. P. *The End of Economic Man*. New York, W. W. Norton and Co., 1995.
29. Nelson J. A. Abstraction, Reality and the Gender of ‘Economic Man’. In: *Virtualism. A New Political Economy*. Ed. by J. G. Carrier, D. Miller. Oxford, Berg, 1998.
30. Автономов В. С. «Рыночное поведение»: рациональный и этический аспекты. *Мировая экономика и международные отношения*, 1997, № 12.
31. Калинин Э., Чиркова Е. «Концепция постклассической экономической рациональности». *Вопросы экономики*, 1998, № 5.
32. ხადური ნ. საქართველოში ახალი ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრების ხელის შეშლელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, 2002, № 4.
33. Бузгалин А. В. *Переходная экономика: курс лекций по политической экономии*. Москва, Таурис, 1994.
34. პაპავა ვ. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, “პდპ” , 2002.

35. Papava V. "The Georgian Economy: From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'." *Communist Economies & Economic Transformation*, 1996, Vol. 8, No. 2.

36. Папава В. «Доктрина рыночного равенства: вопросы теории и ее приложения к процессу посткоммунистической трансформации». *Общество и экономика*, 1999, № 12.

37. Рывкина Р. В. *Экономическая социология переходной России. Люди и реформы*. Москва, Дело, 1998.

38. Сулаберидзе А. «О некоторых факторах, определяющих современную трансформацию общества и семьи в Грузии». *Общество и экономика*, 2002, № 3-4.

39. Formica P. "Viewpoint." *Triple Helix Association Magazine – Hélice*, 2017, Vol. 6, Issue 3/4, <<https://www.triplehelixassociation.org/helice/volume-6-2017/helice-vol-6-issue-3-4/viewpoint-piero-formica>>.

40. Shelton R. "From Homo Sapiens to Homo Innovatus, or How to Innovate Better." *Park Innovaare*, 2018, November 21, <<https://www.parkinnovaare.ch/from-homo-sapiens-to-homo-innovatus-or-how-to-innovate-better>>.

41. Côté M. "Homo Innovaticus." *GAA Accounting. The Journal of the Global Accounting Alliance*, 2011, October 28, <<http://www.gaaaccounting.com/homo-innovaticus/>>.

42. Lasshofer E. "The Homo Innovaticus." *Innovatis*, 2015, May 8, <<http://www.innovatis-suisse.ch/the-homo-innovaticus/>>.

43. Другова Е. А. *Номо innovaticus: парадоксы и противоречия инновационного антропологического проекта*. Инновации, 2013, № 8 (178), < <https://cyberleninka.ru/article/n/homo-innovaticus-paradoksy-i-protivorechiya-innovatsionnogo-antropologicheskogo-proekta/viewer> >.

44. Giddens A. *Runaway World. How Globalisation is Reshaping our Lives*. London, Profile Books, 2011.

45. Балацкий Е. В. «Роль оптимизма в инновационном развитии экономики». *Общество и экономика*, 2010, № 1.

46. Кесельман Л. Е., Мацкевич М. Г. «Индивидуальный экономический оптимизм/пессимизм в трансформирующемся обществе». *Социологический журнал*, 1998, № 1-2.

47. Балацкий Е. В. «Институциональные и технологические ловушки». *Журнал экономической теории*, 2012, № 2.

48. Балацкий Е. В. «Экономический рост и технологические ловушки». *Общество и экономика*, 2003, № 11.

49. Bault O. "Brussels will Remain in Conflict with Poland Even with a New European Commission." *Vpost*, 2019, August 5,

<<https://visegradpost.com/en/2019/08/05/brussels-will-remain-in-conflict-with-poland-even-with-a-new-european-commission/>>.

50. Rankin J. “EU Challenges Poland Over Judicial Independence.” *The Guardian*, 2019, October 10,

<<https://www.theguardian.com/world/2019/oct/10/eu-sues-poland-over-judicial-independence>>.

51. Dam P. “Don’t be Fooled: Hungary’s Government Remains a Threat to European Values.” *euronews*, 2019, June 13,

<<https://www.euronews.com/2019/06/12/don-t-be-fooled-hungary-s-government-remains-a-threat-to-european-values-view>>.

52. Kirchick J. “Is Hungary Becoming a Rogue State in the Center of Europe?” *The Brookings Institution*, 2019, January 7,

<<https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2019/01/07/is-hungary-becoming-a-rogue-state-in-the-center-of-europe/>>.

53. Sályi D. “EU Budget 2021-2027: Conflict of Interests Brings Quarrels.” *HungaryToday*, 2019, November 13,

<<https://hungarytoday.hu/eu-budget-hungary-conflicts/>>.

54. Amadeo K. “Eurozone Debt Crisis. Causes, Cures, and Consequences.” *The Balance*, 2019, October 21,

<<https://www.thebalance.com/eurozone-debt-crisis-causes-cures-and-consequences-3305524>>.

55. Bilbao-Ubillos J., ed. *The Economic Crisis and Governance in the European Union: A Critical Assessment*. New York, Routledge, 2013.

56. Petropoulos N., Tsobanoglou G. O., eds. *The Debt Crisis in the Eurozone: Social Impacts*. Newcastle, Cambridge Scholars Publishing, 2014.

57. Lapavistas C. *Crisis in the Eurozone*. London, Verso, 2012.

58. Jacobs F. B. *The EU after Brexit: Institutional and Policy Implications*. Cham, Palgrave Pivot, 2018.

59. Davis Cross M. K. *The Politics of Crisis in Europe*. Cambridge, Cambridge University Press, 2017.

60. WB. GDP Growth (Annual %). *World Bank*, 2019, <<http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG>>.

61. მენქიუ ნ. გ. *ეკონომიკის პრინციპები*. თბილისი, “დობი-პუბლიკი”, 2008.

62. Mankiw N. G. *Principles of Economics*. Mason, Thomson South-Western, 2004.

63. Мэнкью Н. Г. *Принципы экономики*. Санкт-Петербург, Питер Ком, 1999.

64. Papava V. "Economic Growth in the Central Caucaso-Asian Countries Adjusted for the Catch-Up Effect." *Central Asia and the Caucasus*, 2012, Vol. 13, No. 4.

65. Papava V. "The Catch-Up Effect and Regional Comparisons of Growth Indicators (With the Eastern Partnership Countries as an Example)." *Problems of Economic Transition*, 2014, Vol. 57, No. 3.

66. Papava V. The Problem of the Catch-Up Effect and Post-Crisis Economic Growth in the World Leading Countries. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 2016, Vol. 10, No. 4.

Vladimer Papava

**THE MAIN DIRECTIONS OF ACTIVATION OF
THE HUMAN FACTOR IN THE POST-COMMUNIST COUNTRIES
OF THE EUROPEAN UNION**

Summary

The paper considers the main directions of the activation of the human factor in innovations in the post-Communist countries of the EU. The conditionalities and difficulties for the creation of an environment for economic optimism are analyzed. From this point of view, the most successful and unsuccessful countries of the EU are identified.

*რამაზ აბესაძე
ნანა ბიბილაშვილი*

**ბარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები
ევროკავშირში⁶**

ანოტაცია. ნაშრომში გამოკვლეულია ევროკავშირში ბუნებისდაცვითი პოლიტიკა და კანონმდებლობა. ასევე გაანალიზებულია ევროკავშირის და საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დაახლოების საკითხები გარემოს დაცვის სფეროში.

შესავალი

XXI საუკუნის ერთ-ერთ გლობალურ პრობლემას წარმოადგენს გარემოს დაცვის პრობლემა. წარსულში ადამიანთა სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბუნების გამოყენება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ხდებოდა,

⁶ ოფიციალური მონაცემები აღებულია ნაშრომის ბოლოს მითითებული ლიტერატურიდან.